დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის
2025 წლის 03 თებერვლის N 13 „ო“ ბრძანებით

დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის წესი

მუხლი1.

1.1**.** აღნიშნული წესი არეგულირებს კოლეჯში დამატებითი/არაფორმალური აქტივობებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის საკითხებს.

1.2. წესი მიზნად ისახავს კოლეჯის პროფესიული სტუდენტების არაფორმალური განათლების ხელშეწყობას, ინიციატივების მხარდაჭერას და და მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფას;

მუხლი 2.

2.1. სტუდენტს/სტუდენტებს შეუძლიათ ,სურვილის შემთხვევაში კოლეჯის ადმინისტრაციას წარუდგინონ ინიციატივა/ინიციატივები, რომელიც მიმართული იქნება დამატებითი არაფორმალური აქტივობების განხორციელებისკენ.

2.2. სტუდენტური ინიციატივა შეიძლება გულისხმობდეს -ინტელექტუალურ, საგანმანათლებლო, ლიტერატურულ,სპორტულ,კულტურულ, გასართობ და კანონით ნებადართულ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს.

მუხლი 3.

3.1. სტუდენტური ინიციატივა წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და მოიცავდეს: ინიციატივის მოკლე აღწერას, საჭირო რესურსების ჩამონათვალსა და განხორციელების ვადას/ვადებს.

3.2. წარდგენილი ინიციატივას/ინიციატივებს განიხილავს დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ შექმნილი კომისია.

3.3. კომისია გადაწყვეტილებას იღებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) ინიციატივა გონივრული და რეალისტურია;

ბ) ემსხურება, კოლეჯში არაფორმალური აქტივობების განხორციელებას;

გ) კოლეჯს აქვს შესაძლებლობა შესაბამისი საჭირო რესურსის გამოყოფის;

დ) ინიციატივის სამიზნე ჯგუფი და მათზე ზეგავლენა;

3.4. კომისია თავის გადაწყვეტილებას აცნობს დაინტერესებულ მხარეებს განაცხადის/განაცხადების 10 დღის ვადაში.

მუხლი 4.

4.1. კოლეჯის მხრიდან სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა შეიძლება მოიცავდეს:

ა) ფინანსურ მხარდაჭერას (ბიუჯეტში შესაბამისი თანხის არსებობის შემთხვევაში)’

ბ) სივრცითა და კოლეჯის საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსით უზრუნველყოფას;

დ) მენტორობასა და საკონსულტაციო მომსახურეობას (რომელსაც გაწევს ადმინისტრაციის წარმომადგენელი) და სხვ.

4.2. სტუდენტის/ სტუდენტების მხრიდან ინიციატივის არ არსებობის შემთხვევაში, კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, თავად სთავაზობთ მათ დამატებითი არაფორმალური აქტივობების განხორციელების იდეას და სტუდენტების თანხმობის შემთხვევაში, მხარს უჭერთ მათ იდეის განხორციელების პროცესში;

მუხლი 5.

5.1. კოლეჯის სტუდენტებს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის წესს აცნობს შადმინისტრაციის წარმომადგენელი;